

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს
წარმომადგენლობითი ოფისი

საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
5. ძირითადი საშუალებები	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
9. შემოსავალი	13
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	13
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	80,871	32,359
არამატერიალური აქტივები		1,505	1,746
სულ გრძელვადიანი აქტივები		82,377	34,105
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	465,593	255,924
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსი		18,427	8,376
საგადასახადო აქტივი	7	29,677	34,114
ფული და ფულის ექვივალენტები	8	272,917	172,065
სულ მოკლევადიანი აქტივები		786,613	470,479
სულ აქტივები		868,990	504,584
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		843,654	484,982
სულ საკუთარი კაპიტალი		843,654	484,982
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	25,335	19,602
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,335	19,602
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		868,990	504,584

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ნორმუნდს მიზის

ბლუოჩჩარდ ფინანსს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	80,871	32,359
არამატერიალური აქტივები		1,505	1,746
სულ გრძელვადიანი აქტივები		82,377	34,105
მოკლევადიანი აქტივები			
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	6	465,593	255,924
მოწოდებლობისათვის გადახდილი ავანსი		18,427	8,376
საგადასახადო აქტივი	7	29,677	34,114
ფული და ფულის ექვივალენტები	8	272,917	172,065
სულ მოკლევადიანი აქტივები		786,613	470,479
სულ აქტივები		868,990	504,584
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		843,654	484,982
სულ საკუთარი კაპიტალი		843,654	484,982
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	25,335	19,602
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,335	19,602
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		868,990	504,584

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დაშტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ნორმუნდს მიზის

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
 მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

მოგება-ზარალი	შენიშვნა	2018
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	10	3,947,665
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(3,187,017)
მთლიანი მოგება		760,648
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(379,766)
საოპერაციო მოგება		380,882
სავალუტო ზარალი, ნეტო		(22,210)
მოგება დაბეგვრამდე		358,672
მოგების გადასახადი		-
წლის სრული მოგება		358,672

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრისთვის	484,982	484,982
წლის მთლიანი სრული მოგება	358,672	358,672
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	843,654	843,654

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წელს. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით 405022265.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურება ბიზნესის, მართვის და სხვა საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ასევე მოიცავს საშუაშვლო მომსახურებებს.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია:

მფლობელები	წილი %
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი, შვეიცარია	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 29, საოფისე ფართი N11.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2018 წლამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და ფასს 35-ის შესაბამისად (მსს ფასზე გადასვლა). გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
საოფისე აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
იჯარის კეთილმოწყობა	5

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან 6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფინანსს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი

კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში დაგროვილი მოგებისგან.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფინანსს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური

სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფინანსს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ძირითადი საშუალებები

	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 01.01.2018	35,330	17,034	-	52,365
შემოსვლა	15,536	47,363	15,933	78,860
გასვლა	(700)	(14,287)	-	(14,987)
ნაშთი 31.12.2018	50,194	50,110	15,933	116,237

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	(11,944)	(8,062)	-	(20,006)
ცვეთა წლის განმავლობაში	722	652	-	1,374
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	(7,263)	(7,028)	(2,443)	(16,733)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(18,485)	(14,438)	(2,443)	(35,366)

ნეტო საბალანსო ღირებულება

ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	23,386	8,973	-	32,359
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	31,709	35,672	13,491	80,871

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	465,593	255,924
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	18,427	8,376
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	484,020	264,300

7. საგადასახადო აქტივი

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დღგ	30,071	34,215
ქონება	(287)	(102)
საშემოსავლო	(107)	-
სულ საგადასახადო აქტივი	29,677	34,114

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	2,459	2,162
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	270,458	163,903
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	272,917	172,065

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	24,715	18,866
სახელფასო ვალდებულებები	620	736
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,335	19,602

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფინანსს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

10. შემოსავალი

	2018
შემოსავალი	
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,947,665
სულ შემოსავალი	3,947,665

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018
იჯარა	(137,871)
პროფესიული მომსახურება	(75,771)
თანამშრომელთან დაკავშირებული ხარჯები	(66,715)
დაზღვევა	(22,633)
ცვეთა და ამორტიზაცია	(16,561)
კომუნიკაციის ხარჯები	(10,695)
სამეურნეო ხარჯი	(9,573)
კომუნალური ხარჯი	(9,550)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(5,758)
ოფისის მომსახურების ხარჯები	(3,488)
საკანცელარიო ხარჯი	(2,379)
ბანკის ხარჯი	(1,747)
საგადასახადო ხარჯი	(954)
სხვა საერთო ხარჯი	(16,071)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(379,766)

12. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2018 წლის 1 იანვარს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაუერიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი-ს წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის განმავლობაში კომპანიაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენა.